საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამილახვარი ბარძიმ თაყას ძე

ამილახვარი ბარძიმ (ქოიარ) თაყას ძე, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI ს. II ნახევარში, საამილახვროს უფროსი.

მისი ასული თინათინი ცოლად ჰყავდა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს. პროთურქ. დასის მეთაური. იბრძოდა ქართლის მეფის სიმონ I-ის წინააღმდეგ. გორისა და ზემო ქართლის ციხეების დაკავებაში დაეხმარა თურქებს. სიმონ I-ის ირანში ტყვეობის დროს ავიწროებდა დედოფალ ნესტან-დარეჯანს. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ (1578) სიმონ მეფემ დააპატიმრა, ჩამოართვა ამილახორობა და მამულების ნახევარი. შემდგომში ჩამოსცილდა *პოლიტ.* ასპარეზს.

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ., ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, კრ.: ძველი საქართველო, ტ. 2, ტფ., 1913; ქ ი ქ ო ძ ე ბ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან, XV–XVIII სს. (საამილახვრო), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის» თბ., 1963, ნაკვ. 35.

ლ. ტუხაშვილი